

CURRICULUM VITAE



განათლება:

1978 -1982 შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალუ რი ინსტიტუ ტი
დრამატული თეატრისა და კინოს მსახიობის სპეციალობა

სამუ შაო გამოცდილება:

2013 წლის სექტემბერი -დღემდე, საზოგადოებრივი მაუწყებელი,
საზოგადოებრივ -სოციალური პროექტი „**რეალუ რი სივრცე**“ (თოქმოუ და
ყოველდღიური გადაცემა) ავტორი და წამყვანი.

2009 – 2014 წწ, საზოგადოებრივი მაუწყებელი, გადაცემა „სამოთხის ვაშლები“
წამყვანი

**2002 -2009 წწ, ტელეკომპანია იმედი, შემეცნებითი და გასართობი
გადაცემების** მთავარი პროდიუსერი და წამყვანი.

2004-2006 წ. ტელესერიალი „ყავა და ლუდი“
პროდიუსერი.

2006 წ. რეალითი შოუ, „ინდუსტრია“ ავტორი და
მთავარი პროდიუსერი

1986 -2002 წწ. პირველი არხი, „გაერთიანება სლამომშვიდობისას“ გადაცემების
„ტელესინევიდეო“, „მთელი ღამე“, „კინოპროგრამა“, „ისტორია პირდაპირ
ეთერში“, წამყვანი და პროდიუსერი.

1994წ. სატელევიზიო ფესტივალი „**მანა**“. ერთ-
ერთი ორგანიზატორი და წამყვანი

1994წ. რადიო „ამერიკის ხმა“ კორესპონდენტი

1983წ. რადიო გადაცემა „**პიკის საათი**“
ჟურნალისტი და წამყვანი.

CURRICULUM VITAE

მიღწევები:

2016 წ.

გარეოსდაცვით თემებზე მომუშავე ჟურნალისტების გამგეობის
წევრი

განათლების სამინისტროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

2015 წ. **ჯოზეფ ფრიდმანის** და GIPA-ს პრიზი საუკეთესო ჟურნალისტური
ნამუშევრისთვის. (რეალური სივრცე)

2014 წ. **ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის** და **იუნისეფის** პრიზი

ბავშვთა საკითხების სიღრმისეული და ეთიკური გაშუქებისათვის.

მადლობის წერილები და სიგელები, გადაცემა რეალური სივრცის

ფარგლებში:

ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხების წინ წამოწევისა და აქტიური
მხარდაჭერისთვის.

გენდერული თანასწორობის ადვოკატირების და ქალთა საკითხების
გაშუქებისთვის

2011 წ. BBC-ის პროექტის ანალოგის, დირიჟორთა კონკურსის „**მაესტრო**“

მონაწილე და გამარჯვებული.

განათლების სამინისტროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ტრენინგები:

2015 წ. ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით, მედიის
განვითარების პროგრამის ფარგლებში გავიარე ტრენინგი ჩიკაგოსა და
ვაშინგტონში, რომელიც მიზნად ისახავდა მედიაში თანამედროვე სტანდარტების
სამოქმედო პროგრამებთან და ბიზნეს - სტრატეგიასთან გაცნობას.

ენები: ქართული-მშობლიური, რუსული-თავისუფლად, ინგლისური-საშუალოდ.

კომპიუტერული პროგრამები: Internet, Microsoft office.

სამოტივაციო წერილი

„რეალური სივრცე“ 4 წელია საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერშია. ვფიქრობ, ეს იყო პირველი გადაცემა მაუწყებელზე, რომელმაც შექმნა სივრცე, სადაც კონკრეტულ ადამიანებს შეეძლოთ ელაპარაკათ თავიანთ პრობლემებზე, დილემებზე და საზოგადოებასთან, ხელისუფლებასთან, არასამთავრობო სექტორთან და სპეციალისტებთან ერთად ემსჯელათ შესაძლო გამოსავალზე. ეს გახდა სივრცე, რომელიც თანაბრად წარმოადგენდა საზოგადოების ყველა ფენას და ინტერესებს. ადამიანები გრძნოდნენ, რომ ისინი მარტო არ იყვნენ დიდი პოლიტიკის, დიდი პროექტების წინაშე. ამ გადაცემამ ბევრი წლის სტაგნაციის შემდეგ, საზოგადოებრივ მაუწყებელს დაუბრუნა დაკარგული ნდობა და შეგრძნება იმის, რომ ეს მათი მაუწყებელია. ვფიქრობ, ეს არის ერთ-ერთი მაგალითი და მცირე მოდელი იმის, როგორი უნდა იყოს საერთოდ საზოგადოებრივი მაუწყებელი. თუკი მე გავხდები საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორი, ეს ინსტიტუცია გახდება პირველ რიგში, ყველა სოციალური ჯგუფის ინტერესების გამომხატველი. სწორედ ამ საზოგადოებრივი ჯგუფების მხრიდან გამოცხადებული ნდობა ჩემს მიმართ, რომელთა ხმაც სხვადასხვა დროს გესმოდათ „რეალურ სივრცეში“ იყო ჩემთვის მთავარი მოტივაცია, რომ ვიბრძოლო ამ პოზიციისთვის.

მე გავხდები გარანტი, რომ ეს ინსტიტუცია იქცეს კომუნიკაციის მთავარ ინსტრუმენტად საზოგადოებასა და ხელისუფლების, ასევე საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის.

მოქალაქეები უნდა იყვნენ მთავარი დამკვეთები და მონაწილეები ქვეყანაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი პროცესის. მე საზოგადოებრივ მაუწყებელს ვაქცევ ისეთ ინსტიტუციად, რომელიც წაახალისებს და ხელს შეუწყობს მათ ასეთ აქტიურობასა და ჩართულობას.

იმ შემთხვევაში თუ გავხდები საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორი, მაუწყებლის ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე გახდება ძალიან თვალსაჩინო. გავაძლიერებ საგანმანათლებლო და კულტურულ მიმართულებას. რაც შეეხება პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მიმართულებას, საზოგადოების ყველა მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყვეტილების მიღებამდე საჯარო დისკუსიის თემა გახდება მაუწყებლის სხვადასხვა პლატფორმაზე.

მე ვიცნობ და ვიზიარებ საზოგადოებრივი მაუწყებლის უკვე არსებულ ღირებულებებსა და ამოცანებს. ჩემი დირექტორობის შემთხვევაში, ყველა ამ მიზანს ეტაპობრივად, რეალურად განვახორციელებ. მაგალითად, საზოგადოებრივ მაუწყებელზე არ არსებობს გადაცემა კულტურულ მრავალფეროვნებაზე, გადაცემა ბავშვებისთვის,

სამოტივაციო წერილი

მოზარდებისთვის, ახალგაზრდებისთვის. (ერთი გამონაკლისის გარდა, ვგულისხმობ გადაცემას „წიგნების თარო“)

საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა პასუხობდეს 21-ე საუკუნის ყველა გამოწვევას, მათ შორის ტექნოლოგიურს. მე მინდა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამივე პლატფორმა (ტელევიზია, რადიო და ვებგვერდი) თანაბრად და ურთიერთთანამშრომლობით ვითარდებოდეს, რაც პირველ რიგში, დაკავშირებულია ტექნიკურ აღჭურვასთან. ამისთვის აუცილებლად უნდა დაიხარჯოს გარკვეული ფინანსური რესურსი.

ადამიანები, რომლებიც საზოგადოებრივ მაუწყებელში მუშაობენ მრავალი წელია ჩემი თანამშრომლები არიან. დღეს ბევრი მათგანი ამ გუნდის სრულფასოვან წევრად არ გრძნობს თავს. დირექტორად არჩევის შემთხვევაში, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ყველა მათგანმა ერთგულად და ერთ გუნდად იმუშაოს საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის და შესაბამისად, საზოგადოებისთვის.